


ტანტანტანტი

აღსასრული

„მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს უღმობელი, სისტემატური ბრძოლა ბოლშევიკობის წინააღმდეგ... სასტიკ პასუხისმგებში უნდა მიეცეს გაუსწორებელი ბოლშევიკობები“.
 (ამხ. ორჯონიკიძის სიტყვიდან მე-15 პარტყრილ-ბაზე).



მართი ბიუროკრატი (მეორეს): ნუ ხარ მაგე თი გულუბრყვილო! ყოველივის გაიძაბოდენ, მავრამ დაგვაკლეს?!
 მამორამ: — არა, ჩემო კარგო, — ტყუილი იმედი გაქვს; საქმე წაგებულა!

ულთა რუსთაველი და გუგუნავა*

ეს წერილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ბრუნისათვის არ გამგზავნენ და დასაბუქდით და გამოსაქვეყნებლად.

წერილი დაწერილია გამსახლში, სადაც ამჟამათაც ვიმყოფები.

პროფესია ჩემი არის—მოლარეობა, ხელობა —გაფლანგვა, რამაც თავი აქ ამომამყოფინა.

დიან, ეს წერილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა. აღბად გერ კიდევ დიდხანს არ ელირებოდა გამოქვეყნება, რომ კვირას მეგობარს ჩემთვის არ მოეტანა ძღვენთან ერთად „ქართული მწერლობა“, № 10.

ამ ნომერში მე წავიკითხე კ. კაბანელის წერილი: „ბაირთნი და რქტომბრის რევილიუცია“.

პატივცემულ ავტორს ძალიან უყვირს, რომ ბაირონის მიერ ასი წლის წინეთ თქმული, ეხლა ასაოულდა.

რა თქმა უნდა,ასიწელიწადიკ გვარაინი დიდი დროა,—მაგრამ ერთ საუკუნეს მაინც არ აღვმატება, რაგინდ გრძელი წელიწადებისაგან შესდგებოდეს იგი.

მე უფრო ზორბა რამ აღმოვაჩინე.

რვა საუკუნის წინეთ (დაახლოებით რვაასი წელიწადი) შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ გეფხის ტყაოსანში იწინასწარმეტყველა და დაახასიათა თანამედროვე გაფლანგვა.

ბერ გულუბრყვილოს ჩენი გამოკვლევა სასაცილოდაც არ ეყოფა, მაგრამ, თუ კი ბიჭია, დაარღვიოს ჩემი დებულებები.

ლეს რომ დაწესებულებებს მოლარეები ჰყავთ, ისეთი მოლარე თინათინსაც ჰყოლია, რაცა სჩანს რუსთაველის სიტყვებიდან:

მოლარე იხმო, უბრძანა...

(გვერდი 24. გამოცემა 1899 წ.)—

მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწალა ფერ-ნამკრთალიო“ (იქვე, იმავე გვერდზე)

მაშასადამე: ჩენისთანა მოლარეები მაშინაც ყოფილან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაფლანგვა მაშინაც იქნებოდა (მა, როგორ შეიძლება—მოლარე იყოს და გაფლანგვა კი არ ხდებოდეს?!).

წინასიტყვაობის ერთ ალაგას, რუსთაველი შემძრვას ამბობს:

მიჯნურსა თვალათ სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მწეობა,

სიბრძნე, სიმძირე, სიშხვი, სიყმე და მოცაღებობა...

კარგად დაუკვირდით ამ სიტყვებს და მეტად ერთ ზიოვანს: „სიუხვე“.

სიყვარულის ეს ელემენტარული მოთხოვნები რომ შეყვარებულმა შეასრულოს, აუცილებლათ საჭიროა ფული, ფული, და კიდევ ფული.

გვთქვათ: კაცი გამოჯნურებულია—ქალი უყვარს. კაცი მაინცდამაინც ვერ არის თვალსაჩინო, წამოსადეკა ბიროვნება. მის გულში რომ იწოდეს ქალის სიყვარულით. ეს საჭმეს ვერ უშველის. საჭიროა ქალი დაინელოთ და სიყვარული აუჩინას. მაგრამ ამას როგორ იზამს, როცა ტანზე და ფეხზე ხეირიანათ არ აცვია. საჭიროა კოვერკოტის კოსტუმი, ლაქის ტუფლები, ცილინდრი და სხვა ასეთები. („მიჯნურსა თვალათ სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მწეობა“). როცა ასე მშვენივრათ გამოწყობილი მზრავით წარსდგება ქალის წინაშე. ეს უკანასკნელი მას ყურადღებას მიაქცევს, მოიხიბლება და... საჭმე გაიჩინება.

არ კმარა მარტო გაცნობა.

* მასლის განხილვის დროს, ერთერთ კონკრეტში აღმოჩნდა ეს წერილი, რომელსაც, თანხმით ავტორის თხოვნისა, ვადავსებთ უცვლელად.

ჩვე.

საჭიროა პატივისცემა.

შეყვარებული უნდა დაპატიოს კაფეებში, თეატრებში და სხვა ასეთ გასართობ ადგილებში. არ უნდა დასაშურო მისთვის ფული (და ისიც სახაზინო). როცა შეყვარებულს ათასნაირათ აჩვენებ თავს, იგი აუცილებლათ შეგიყვარებს („...სიმდიდრე, სიუხვე“...):

და, თუ ასე არ მოიქეცი, მაშინ შვიდობით სიყვარული. შენი პატიოსნება შენს შეყვარებულს არ ესაქიროება, არც არაფერში გამოადგება,— მას ფული უნდა, ფული, და კიდევ ფული.

დიან, რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს რუსთაველის შემდეგი სიტყვები:

ვისცა ეს სრულათ არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა..

არა მარტო მშვენიერი ქალი გავიტაცებს ადამიანის გულს, არამედ უშნოც.

ზმირია შემთხვევა სამსახურში, როცა გამგე ეტრფის მშვენიერ მეშენქანეს, მაგრამ, ამავე დროს დამლაგებელ ქალსაც არ სტოვებს თავისი ყურადღების გარეშე და სამსახურიდან დათხოვნის მუქარის ქვეშ, მასთანაც იქერა ინტიმიურ კავშირს.

ამგვართ, გამგე ცხოვრებაში ატარებს რუსთაველის სიტყვებს:

ვარლთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ზუ მოგეწონების.

აქ ვარლათ და დიდთა იგულისხმება მშვენიერი მეშენქანე; ნეხვთა და წვრილთა კი— დამლაგებელი ქალი, რომელიც ნეხვს და ნაგავს ცოცხით ასულთავებს; რასაკვირველია, მზეთ ნაგულისხმევია გამგე, რომელსაც წყალობა ორთავისათვის არ ემუქრება.

ფულის დაზოგვა რომ საჭირო არის, ეს სჩანს აქედან:

უხვად ვასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების..

ესე იგი, რასაც წაიღებ სალოროდან (ხდება) იგი ისევე უკანვე დაბრუნდება. ფული მუდამ ტრიალებს და ამ ტრიალის დროს შეგიძლია დრო იხელთო და მოიხიბრო იგი (ფული).

კიდევ ერთი (საბუთი იმისა, რომ საჭირო არ არის ლიტონი სიტყვებით სიყვარულის ახსნა, არც თავის მოსაწესებლად შეყვარებულის წინაშე, რომ მან შეგიბრალოს). **ბედითი ბნედა, სიყვდილი, რა მიჯნურობა გავონა?**

სჯობს საყვარელს უჩვენო საქმენი საგმირონი...

აქ გაუგებარი არაფერი არ არის. ყველაფერი აშკარათ თქმულია. „საქმენი საგმირონი“—ეს ნიშნავს შეყვარებულისათვის სახაზინო ფულების არდაშურებას, დაუზოგველობას.

ადამიანის გული კი არა, დრო და ჟამა ცვალებადი ერთიდა იგივე მდგომარეობა ვის არ მოსწყინდება!? ცვალებადობა—ეს ბუნებრივი მოვლენაა.

აი, ამის შესახებ მშვენივრათ თქმული აქვს ჩვენს რუსთაველს:

რა ვარდმან მისი ყვავილი გაახშოს, დაამკენაროსა,— იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა.

რას ამბობს ამ სიტყვებით პოეტი? იი რას:

მაგ., ავიღოთ იგივე გამგე. მას მობეზრდა თავისი კანონიერი, ლეგალური (და აგრეთვე უკანონო და არალეგალური) ცოლშვილი და გაეყარა. (რა უყრა მერმე, რომ აღომენტს იხდის! სახაზინო ფულებში იკითხოს, თორემ მას რა?!). ცოლს ცუდით ვეყობოდა, რომ აქედან გაეყარა. ამიტომ გაჩნდა ჩამოკენა მისი უწინდელი ყვავილი— ცოლი. („...მისი ყვავილი გაახშოს, დაამკენაროსა“).

როცა ცოლი წავიდა (ანუ როგორც თვითონ ხუმრობს—„ცოლი გავათხოვე“!),—სხვა მოვიდა.. („იგი წავა და სხვა მოვა“...).

რა თქმა უნდა, ახალ ცოლს (და ისიც ასეთს!) ისე ვერ მოგებობა, როგორც უწინდელს.

ი ბ ა ვ ა რ ა კ ი




„ისტორიის დიდი ქარავანი წარსულს უღაბნოდან გამოვი. ადამიანთა სოლიდრობითა და შრომით გაღამაზებული იზიხს დამზავებს ქარავანს“... (ჯ. კახიანილი, ქართ. მწერლობა № 10, გვ. 92)

ბაბრონი:— გმადლობ, კონსტანტინე, გახსენებისათვის, მაგრამ, თუ პატივს მცემდით, — მე მერჩინა ავტო-
თი გაქროლება ცაბლაუჭების ასფალტოვან ქუჩებზე, ვიდრე ყრუ უღაბნოში კუზიან ქარავანით ხოხვა... ეს ზომ
ჩემი დროის ანბავია!

სმა-ჭამა დიდათ შესარგი, ღება რა სავარგულია.,
რასაც გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია.
ჯერ სიტყვა-სიტყვით ვავარჩიოთ ეს წინადადება, —
შემდეგ კი მცირედენი შესწორება შევიტანოთ.
პირველ სტრიქონის შესახებ დროს დაკარგვა არ
ლირს, რადგან „სმა-ჭამა“, რომ „დიდათ შესარგია“ —
ეს ყველამ მშვენიერათ ვიცით.
ჩვენ გვიანტერესებს მეორე სტრიქონი. ერთხელ კი-
დეგ გადავიკითხოთ:
რასაცა შესკამ შენია, რაც არა დაკარგულია, — ამით
აქ ორი აზრი არ შეიძლება,
ვისაც პატივს სცემ, (ესე იგი სახაზინო ფულით და-
ნშარები), ის შეგრჩება. მოსალოდნელია: დღემანდელ
მის მდგომარეობაში; შემდეგში შენ ჩავარდე. თუ შეა-
ხავით „პატიოსანი“ და „თანაგრძნობი“ იქნება, მაშინ
იგი დაგეგმარება შენ, თუ შენგან არაფერი პატივისცემა
ანსოვს, მაშინ მისგან ნურაფერს ნუ ელი.
ამგვართ, გამოდის: რასაც გასცემ, იგი არ დაგეგარ-
ება; ხოლო რასაც არ გასცემ, ის დაკარგულია. ამიტომ

არ უნდა დაიშუროთ გასაცემათ ფული (რა თქმა
უნდა — არისაკუთარი):
თუ ჩვენ მცირედენ შესწორებას შევიტანთ ამ სტრი-
ქონში და ვიტყვით ასე, როგორც დღეს ეს ხმარებაშია:
რასაც შესკამ შენია, რაც არა დაკარგულია, — ამით
ამოწურული იქნება ამ სტრიქონების მთელი გაგება და
ჩვენ შეგვეძლება გადავიღეთ შემდეგზე:
ვა, სოფელი რაშიგან ხარ, რას გვებრუნებ რა ზე
გეირსა?
როგორც ზემოთ უკვე გვაქვს თქმული, ცხოვრება
ცვალებულია.
ამ ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, ისეთი ზნე სჭირს, რომ
მუშაგეგმინმა ხშირათ იცის ხალაროვების დათვალეირება,
რომ ფული არ აკლდეს. (არ აკლდეს მოლარებებს კი არა,
არამედ ხალაროს არ აკლდეს).
სწორეთ მან შიამოლენ-შოამბრუნა და...
ნახეს ბევრი მოუქმეები ჯდენ მტირალნი ციხის ძირსა...
იხელი.

ქუთაისის სკოლებში



მასწავლებელი (თავისთვის): — ზომ არ გაუყინავს იგი ოვახდასაქცევი დარაჯი, რომ ამდენი ხანია ზარს არ რეკს?! ნაღდათ დავაყინდი ამ კათედრას.

„მუშაკოოპის ნისია“


— ჯამაგირი, რომელსაც მე ვიღებ, განისაზღვრება...
ერთი სიტყვით, საჭმომ რაოდენობით ვიღებ! არა უშავს—მტერ-მოყვარეს პასუხს ვაძლევ!—ასე ეუბნებოდა ოლიფანტე სოფლიდან ჩამოსულ სიმამრს.
— რა გეპიროდა, ბიჭო, ერთი საჩოხე გეყიდა! — უსაყვედურა ბაბუამ ოლიფანტეს.
— გეყიდი, ბაბუაჩემო, შენც გეყიდი და ბებიასაც. ცოტა სული მოვიტყევა. აგერ, მუშაკოოპი ნისიას გვაძლევს და ყველას გეყიდი.
მართლაც, რა უნდა ექნა ოლიფანტეს! ჯამაგირი ჰქონდა მხოლოდ რვა თუმანი და სარჩენიც — რვა სული. თითოს თითო თუმანი უწევდა თვეში და ზომ იცით!... ოლიფანტემ ვერ შესძლო შინაურების დამოსვლა. ამას არც მე და მით უმეტეს არც თქვენ არ გაუმტყუნებთ.
— ღმერთო შენით, აგერ ნისიას მომცემს მუშაკოოპი და მაშინ მე მკითხვეთ თქვენი პატივისცემა. — ამბობდა ყველას ოლიფანტე.
— მართლაც, მუშაკოოპი, როგორც ეტყობოდა, ემზადებოდა ნისიის გასაცემათ.
— „კრედიტი მუშებს!“ „ნისია მომამსახურებებს!“ „აბა კრედიტი მოდის!“ — ყოველდღე ეწერა დიდრონი ასოებით ადგილობრივ გაზეთებში.
ქვეყანა შეშფოთდა. მთელი მილეთის ხალხი ემზადებოდა.
— კრედიტი უნდა ავიღო! — ფიქრობდა რომელიმე მემანქანე, ან შემუშრუქე და მიტკლის ზომას იღებდა ოჯახის წევრებიდან.
ნისიას იძლევიან, ერთი კარგათ შევიმოსებით! — მხიარულათ ჭიკჭიკობდა რომელიმე ექსპლიოიტორი დრო მიდიოდა. ოლიფანტეს მოთმინება ეკარგებოდა. ბაბუა თახდათანობით მოხუცდა. დიდდაც არ იყო სამ-

ქვეყნო, მაგრამ ორივე მუშაკოოპის კრედიტის იმედით ებლაუტებოდა ცხოვრებას და არ ფიქრობდა იმ ქვეყნად გამგზავრებას.
— ნუ გეშინიათ მოხუცებო! სულ მალე მივიღებთ ნისიას! — ანუგეშებდა ყველას ალღელებული ოლიფანტე.
„კრედიტის გაცემა ახლო მომავალში დაიწყება!“ „ემზადეთ ნისია საქონლის მისაღებათ“, „აბა ვის გინდათ ნისია საქონელი!“ — ყვიროდენ განთებები.
— რა ფულს აკეთებენ ეს ოხერი რეპორტიორები?! — საყვედურობდა ოლიფანტე. — ასი ათასჯერ დაწერეს მაგ შეჩვენებულ კრედიტის შესახებ, ჯიბეები გაიტენეს და კრედიტი შაინცა არ სჩანს!
გავიდა სასკმაოდ დიდი ხანი. ოლიფანტეს ბაბუამ იცადა, იცადა და ბოლოს გამგზავრა საიქიოს (ალბათ იქაურ კრედიტის მისაღებათ). ბებიაშაც კარგა ხანს იცადა, მაგრამ ვერც იგი ელირსა კრედიტს.
— ნეტა როდის იქნება ნისია? — ეკითხებოდა ოლიფანტე მუშაკოოპის ნაჭრებს.
— არ ვიცით, ამბობენ მალეო! — უპასუხებდნენ მას.
„სულ ახლო მომავალში მუშაკოოპი შეუდგება საქონლის ნისიად გაცემას“. გეგმის შედგენა თითქმის დაწყებულია. განზარახულია თათბირის მოწვევა, რომელზედაც პრინციპიალურად გადაწყდება ნისიის საკითხი.“
ასეთი რამ ამოკითხა გაზეთში ოლიფანტემ.
— არა, მაგ თათბირამდე გელორ მოვიციდი, მეტი მოთმინება აღარ ამქვს!... ჩაიფიქვიდა ოლიფანტეს მამალამ, რომელიც ღრმად მოხუცდა ნისიის მოლოდინში. ჩაიფიქვიდა და ლოკინში ჩაწვა. აღარც ამდგარა გავიდა კიდევ საგრანობი დრო. თვით ოლიფანტეც, ასე წარმოიდგინეთ, შექალაჩავდა. (ზომ იცით, დრო კარს აბერებს!) მით უმეტეს, თუ ეს დრო მილოდინში მოდის.

ჩოხხალი ჩირათი ღაფასღა, ერთ სტერლინგათ კი—გვედარია

„ინგლისის მთავრობა პარლამენტს სთხოვს 3,000,000 გირვ. სტერლინგს ჩინეთში ინგლისის ჯარების შესანახათ“.

(ღებუშებიდან).



ჩამბერლენი (ინგლისელ ჯარის-კაცს):— მკვდარში უფრო ნეტს ვიძლევი, ვიდრე ცოცხალში: თითო-ღელ გვამში ერთი გირვ. სტერლინგი!

„მუშკოვთან განწრახული თათბირი, რომელსაც უნდა განეხილა ნისის საკითხი, — გადაიღო. მის მაგივრად განწრახულია საგანგებო პლენუმის მოწვევა, რომლის შემდეგ შეუდგებიან წინსწარ სამზადის ნისის გაცემის გეგმის შესადგენათ“.

ასე გულსაკლავი მოტივით იყო საეცე გაზეთის საინფორმაციო წერილი.

— ოლიფანტემ გაჯავრებით დაკმუქნა გაზეთი.

— შენ მაინც კი მოგერევი...

კიდევ გავიდა დრო. ოლიფანტეს წვერი გაუთეთრდა და შრომის უნარი დაეკარგა.

„ნისის გაცემა გადაწყდა. უახლოეს მომავალში გაცემაც დაიწყება“.

კიდევ დასწერეს რეპორტიორებმა.

— შეგაჩვენოს გამწენმა! თქვენი წერით და მაგ ნისის ლდინით აპუნდიციტი დამემართა! — მოსთქემადა ოლიფანტე.

ბოლოს... ნუ გაგიკვირდებათ და... მართლაც დაიწყო ნისის გაცემა. გაზეთები საეცე იყო ათასგვარი ცნობებით:

„ნისია დაიწყო!“ საუბარი მუშკოვპის თავმჯდომარესთან! „ინტერვიუ თავმჯდომარის მოადგილესთან!“ „რას ამბობს მთავარი ბუჭალტერი!“ „ნოქართა ანკეტა“. მაღაზიის გამგეთა აზრი! „საერთო შთაბეჭდილებები“. ინტერვიუ მომხმარებლებთან!

ასეთი და კიდევ მეტი სენსაციურობით იწყებოდა თვითელი ამბავი. ოლიფანტე გამოცოცხლდა, წელში გაიმართა. თმა და წვერი შეიკრიბა და ნისის გამოსატანად მოემზადა.

ოლიფანტეს მიეცა 80 მანეთის ნისის გამოტანს უფლება. იგი მთელი ამალით გაემგზავრა მუშკოვში: მას ახლდა ცოლი, შვილები, შვილიშვილები, რძლები, მძახლები და მათი ნათესაები. ზოგი დანტროესებული იყო ნისით, ზოგიც ისე, სერიის საყურებლათ მიდიოდა.

მუშკოვში აუარებელი ხალხი იყო, მაგრამ ოლიფანტემ მაინც მიაღწია დახლამდე.

— გადმომიწყევთ ოცდაათი მეტრი მეტრკალი!

— მაგდენს ვერ მოგცემთ. სამი მეტრია ნორმა.

— მმ! მომეცით. ოცი მეტრიც თანელი.

— თანელი არ ვაქვს.

— მმ! მაშ ხუთმეტრი მეტრი შალი იყოს!

— შალი რვა მეტრზე მეტი არ შეიძლება.

— მმმ! მომიტეოთ.

— სხვას რას ინებებთ? საინი, ქიქა, სამოვარი, ფინჯანი, ტებილულობა, ვაშლი, თხილი, ქვაბი, ვაზები...

— არ მინდა ძმაო, მატერია მომეცით!

— მატერიის ნორმა უკვე შიღვეთ. ახლა ჭურჭლეულობა უნდა წაიღოთ.

ორიოდე საათის შემდეგ ოლიფანტე და მისი ამალი დიდი ამბით ბრუნდებიან სახლში.

— რა კარგი ქნა საწყალმა მბაბამ და შებიამ რომ თავის დროზე გაემგზავრენ საიქიოს, ამდენი ხანი რომ მართლა მოეცადათ, ხომ შევტრეხებოდით კაცი... ამ ჭურჭლეულობას ხომ ვერ ჩავაცმევდი და თართალზე ნაბეჭანი ხელმოჭერილი ყოფილა ეს ჩვენი მუშკოვში... პირდაპირ სირცხვილიდან გამომიყვანეს იმ ცბონებულგებმა. ამბობდა ოლიფანტე და თან ხგნეზოდა ნიასიად გამოტანილ სამოვრით და ქვაბებით დატვირთული.

აღლარ-აღლარხან.

თბილისის სსუპარი

იმიჯული სცენა

— ბიჭო სიკოია, მოდი აქეთ ერთი; თბილისის ამბები ვითხრა ისეთი, რომ შეგზალო ჭკვიდან.

— იმე, მართლა, შენ ახლა თბილისში იყავი; ერთი, ბოშო, რა ნახე იქნენ მოგვიყვიე!..

— კი შე კაცო... მე აქედან წავედი გონია მაშინ გიორგობისთვე იყო. წვევდი, ბოშო; ჩავჯექი პოვეზში, მარა ის რა პოვეზია— შეიდ საათში თბილისში გამადენია გლეჯა. ხო-და შეიდი ხაათის მგზავრობაში 4 მანეთი უნდა ვადეხადო. აი ვენაცვალე მისა— ის იყო პოვეზი! რომ ჩავდებოდი შით, თუ უცოლო იყავი, თბილისში ცოლ-შვილიანი ჩახვიდოდი, და თუ პეტერა წერა-კითხვა იცოდი, ბოშო, პოეტი გახდებოდი. ახლა რაც პოეტებია, ისინი, ყმაწვილო, სულ მაქსიმ-გორკის პოეტებია.

ხო-და ჩვევდი თბილისში. გააქ ახტომობილებს გრიადი, მარა იმაში რავა ჩავჯდები,— თურმე ყოველ დღე ხუთ ექვს კაცს ამტერებს ის ახტომობილია თუ რაცხა. ჩოუჯექი ერთ გლახა მეფაიჭონეს, რომელსაც ცალგვერდზე, ბოშო, ინგლისური ჯორი ება. აი ბეჩა რავა გოუბედეს რომ ფაიტონში შეაბეს! ვინ იცის ერთ დროს (ინგლისელების დროს) რომელიმე ჩვენ რკინის-გზის სადგურში ება. მაშინ ხომ სადგურები თავლებად ვადაგვიქციეს, ყმაწვილო, და ჯორის ნეხვით ავცივსეს აქოურობა.

წვევდი. ერთი ვისადილეფ-თქვა. გარჩე, ბოშო, სასადილოები და ბოლოს ჩვევდი „სიცოცხლეში“. აი ეს არის ჩემი საქმე-თქვა; ამა სიკვდილი რა ჯანდაბათ მინდა-მეთქი. იმე, კაი დეგემართოს, კაი პატრიო იქნე მე მცეს— რაც მევითხოვე, ყველაფერი მამიტანეს. მარა ბოლოს კი ველარ ვამევედო იმათი მადრიელი, როცა 3 მანეთი გამომართვეს; ერთი სადილი და 3 მანეთი! იგი სიცოცხლე კი არა, სიკვდილი და ამოვდება ყოფილა!

ამევედი ზეით, იცოცხლე ნაცნობები ბევრი ვნახე. თუ აქანე იძახიან, რომეო— ჩემი შეილი უმაღლესშიაო, უმაღლესის რა მოვასხენო და უმაღლესში (პადვალში საქართვეოთ) კი ბევრი ვნახე აქოური სდუდენტობა.

ჰო, კიდევ, მე გლახს სახლი ვნახე. აი გლახიც ის ყოფილა და კნიაზიც, ვინცხან იმისთანა სახლი აქვს, ჩვენში ვისაც ოდა აქვს, მდიდარს იმას ეძახიან; იქნე კი გლახებს სასახლეები ჰქონდათ.

ძეუნტი.



— რა დაგემართა, კაცო, — მხას რომ არ მცემ და ასე გარბიხარ?!

— (შისწრაფვის საფურთხისაკენ):— მმმმმ...

ტ რ ა ნ ს უ ტ რ მ ა ც ი ა

განცხადებისათვის რედაქციაში მიიღეს:

марской ястреб

მთარგმნელი შეუდგა ამ განცხადების თარგმნას...

რატომღაც მას თავში მაშინვე შეუტრინდა „არწივი“.

— ფრინველთა მეფეა! აუცილებლათ არწივი უნდა! — გაიფიქრა მან და სთარგმნა:

ზღვის არწივი

კინო-სუკათი ორ სერიათ

კინო-თეატრის აღმინისტრაციამ სხვა გაზეთსაც გაუგზავნა განცხადება:

მთარგმნელმა სთარგმნა:

ზღვის ქორი

კინო-სუკათი (უნდა იყოს — სურათი) ორ სერიათ.

მეორე დღეს თეატრის აღმინისტრაციამ აცნობა რედაქციას — განცხადება კიდევ გაეშვა, ხოლო სთხოვა შეცდომა გაესწორებია.

— რა შეცდომა უნდა იყოს ამ ობრობაში?! — უკვირდა ასოთ-ამწყობა რედაქციის მდივნის საყვედური. — „ზღვის ქორი“... სწორათ სწერია.. მაგრამ..

ზღვის ქორი რა სათაურია?! აღუბად უნდა იყოს:

„ზღვის ღორი“... აუცილებლათ ასე იქნება! — და ასოთ-ამწყობს მოაგონდა შავი ზღვის ნაპირები, საიდანაც ზღვაში ხედავდა ზღვის ღორს! — შეცდომა... აუცილებლათ უნდა იყოს „ზღვის ღორი“... ქორი-ღორი.. აქ კორექტურული შეცდომაა: „ქორი“ს მაგიერ უნდა იყოს: „ღორი“... ქორი-ღორი! — დაარწმუნა თავისი-თავი ასოთ-ამწყობმა და შეუდგა განცხადების აწყობას.

მეორე დღეს გაზეთში ასეთი განცხადება იყო:

ზღვის ღორი

კინო-სუკათი ორ სერიათ

შკითხვებზე ვერაფერი გაიგეს გაზეთებში მოთავსებულ განცხადებებშიდან; ერთმანეთში აერიენ ზღვის: არწივი, ქორი და ღორი.

— ისევ სჯობია თეატრში წვაიდევ და იქ გავიგებ სურათის ნამდვილ სახელწოდებას!

ჯერ კიდევ შორიდან მოსჩანდა ელექტრონის შუქზე კედელზე დაკიდული (უკაცრაოვით თქმა არის) ვარის ოდენა ასოებით ასეთი განცხადება:

ზღვის მიმინო

კინო-სუკათი ორ სერიათ

როცა სურათი ნახეს, არც ერთი სათაური არ შეეფერებოდა სურათის შინაარსს.

ენაში.

ქ უ თ ა ი ს ი ს თ ე ა ტ რ უ ი



მომალაქმე: (მსახიობს, რომელიც სანახევროთ ტიტველი თამაშობს სცენაზე):— შენ იკითხე ზიძია, რომ იყინები მანდ, თორემ მე ქე ვარ ნაბაღში გამოხვეული!

„ რ ი ა რ ი ა “

დღეს კრიქაშია ობოზიცა...
 რასა ჰყვირიან თვით არ იციან.
 არ დაანებეს გათვრა გვირაბის,
 (მადლი მათზედა იყოს ვირაბის!).
 რათ უნდათ თურმე მაგათ გლეხები;
 მაგრამ უნდა ეთქვა:—ტროცკის ფეხები
 მენშევიზმისკენ მიიმართება.
 ამას მიყვება ჩვენი „უკლონიც“
 რომ პარტიიდან „გამოაბრძანოს“, —
 ნუ დარჩებიან გულნაკლონი.
 გამოეცვალოთ საუბარი...
 ამოფარდა გუშინ ქარი...
 მოიარა მთელი დაბა
 აუწია ქალებს კაბა,
 და ფეხები ოქროს სვეტად
 მოსჩანს სულის ასატაცად.
 (აბა ამ ქარს ცოტა აცათ),
 რალაც თავში მილიტინებს,
 რომ ვუყურებ ამ ტრიკინებს.
 მილიციას შევუკურობე,
 რომ ვერსად ვერ გავაფურთხე:
 დაუდგიათ აქ ყუთები.
 (ვა, სიცილით ვიხუთები).
 რომ ვუყურებ ამ ტრაშვიის,
 იძახიან ვაი-ვაი:
 აგერ ვილაც ეშმაკ-ქაჯი,
 ერთ ქალიშვილს თავზე აჯიხს
 ჩეტა მომცა მე შაური,
 რომ ეხლავე განვიცადო
 ყოფნა ტკბილი იქაური.
 აგერ მოდის ქალი ქერი.
 ან სიცივემ ამამღერა,

თმა ყალყზე დვას ღერი-ღერად
 ნეტა იქცეს შემის ღერად,—
 ფერი ერთხელ გავაცხელო,
 ვაი ფეხო, ვაი ხელო!
 (ორივე ძირში წამყუენა).
 აგერ ვილაც კაცი ღრინავს,
 ვფიქრობ, ცევა საწყალს ალბათ
 (ტახვეისაგან გული დილბა).
 თურმე არის ხულიჯანი.
 მითხრა: „სიგრძეთ მოგცე განი?!
 გამოვბრუნდი უკან უცებ.
 ამისთანა სიტუტუცეს
 უპასუხო ვინდა რითი?..
 წამყუენა ცერის თითი.
 ველარ ვიქერ ხელში კალამს,
 სჩეებს მიუძღენი შემდეგ სალამს.
 დმერთმა მოგცეს აქ კი თფილა
 ეს რა ესმის ჩემსა ყურებს,
 აგერ ბიჭი ვილაც გოვას
 ხელებს ურცხვად უფათურებს.
 ეუბნება ბიჭს მიზნდით:
 — „შენ გეკუთვნის ჩემი ბედი.
 (მომიხრაა შენთვის ქელი).
 თუ გხურს ერთად მოვამზადოთ:
 „სადრანგეთის ისტორია“.
 იქ ვიქნებოდა ჩვენ ორია.
 (ო, მე მაგერა ჩემი ტანი
 შენთვის უცხო სასწორია!).
 ხომ გავიართ დღეში ფურცელს?
 (მომ იცი, რომ მეტი შრომა
 აგვატყვივებს ტენს და მუცელს).
 მაგრამ სინდისი შეგირცხვს.

ქინდაძე

„ლოთოზის წინააღმდეგ“

ერთ-ერთ დღეობაზე სიმთვრალის გამო, ჩვეულებისამებრ მოხდა დიდი ჩხუბი და თავპირის მტვრევა. ამის გამო შეიკრიბა მრელი სოფელი, რათა დაედგინათ, რომ ეს ყველასთვის მავნე ჩვეულება—სიმთვრალე სამუდამოთ გადაეგდოთ.

თავმჯდომარე: — ამხანაგებო! ვინაიდან ლოთოზას მოსდევს ყოველთვის ჩხუბი, აურ-ხაური და თავპირის მტვრევა, — ამიტომ, ამხ-ბო, რათაც არ უნდა დაგვიჯღღსუნდეს, უნდა გადავადგოთ და სამუდამოთ აღმოვფხვრად ეს მავნე ჩვეულება—ლოთოზა.

კრება: — მართალია, მართალი!..
თავ-რე: — მაშ, ამხანაგებო, მივიღოთ რეზოლიუცია, რომ ჩვენ დღეიდან სამუდამოთ ვსპობთ ლოთოზას და მითელ სოფელში ვუკრძალოთ ვაჭრებს მაგარი სასმელების გაყიდვას. აბა, ვინა ხართ ამ წინადადების მომხრე, ასწიეთ ხელი?

(თითს სწევს მხოლოდ ორი კაცი).
მოქალაქენო! რაშია საქმე! რატომ არა სწევთ თითებს?..

პირველი: — ეს ყველა კაია, მარა პატარა გაუგებრობაა, ამხანაგებო.

თავ-რე: — აბა, ბრძანეთ, ვისთვისაა გაუგებარი.

მეორე: — კი, ბატონო, გადავადგოთ ეს ლოთოზა, ვიცით რომ ეს მავნებელია, მარა აი, მარგალიტათ, მე ამ კვირეში ქალი მიწა მეციყვნო და რაღა ვქნა ახლა! ქორწილი და უღვინობა, რაცხა, არ მოდის თავს! მერე ეს ქორწილი ყოველდღე ხომ არაა, რაღა, კაცმა მისი სიყმაწვილე არ უნდა გაიხსენოს.

კრება: — მართალია, მართალი! ქორწილისთვის პატარა შეღავათი უნდა დავტოვოთ.

თავ-რე: — მართალია. ქორწილი პატარა მოვლენა არაა კაცის ცხოვრებაში.

კრება: — კი, ბატონო, კი! რაღა, ქორწილს ხომ არ გადავადგებთ?!

თავ-რე: — აბა, რა ვქნათ?

კრება: — რაცხა უნდა მოვახერხოთ რაცხა!..

თავ-რე: — მაშ კარგი, რეზოლიუცია ისევ ის ძველი მივიღოთ, მხოლოდ შენიშვნა შევიტანოთ, რომ აკრძალულია ღვინის სმა ყოველთვის, გარდა ქორწილისა. ვინაა ასეთ შესწორების მომხრე, ასწიეთ ხელი! (კიდევ ვერა ხწვევენ ხელებს და ყოყმანობენ). მოქალაქენო, რაშია საქმე? რატომ ხმას არ აძლევთ შესწორებას?!

მესამე: — პატარა გაუგებრობაა, ბატონო....

თავ-რე: — სთქვი, რაშია საქმე?

მესამე: — ჩემი ეფროსინე, ჩემო ბატონო, დღეს თუ ხვალ მოსარჩენია და რაღაც აბუჩერკამ მიტხრა, ნამდვილათ ბიჭი ეყოლებო, ისტე ეტყობა რაცხა მუცელზეო. ყველა ყველაა, მარა ასეთი ამბავი, რაღა შეიძლება ისტე ჩუმად ჩატარდეს, რომე კაცმა არ დალიოს!

კრება: — მართალია, მართალი!

მეოთხე: — აქანე უქვევლათ უნდა დოუშვათ გამონაკლისი.

კრება: — მართალია, მართალი!..

თავ-რე: — მაშ ასე ჩაეწეროთ: ქორწილსა და ვაჟის დაბადების გარდა ღვინის სმა ისპობა სრულიად..

მეექვსე: — მეითმინეთ, ბატონო, მეითმინეთ! ვაჟი დაბადებაო, რომ იმხინო, რაღა ქალი რომ დაიბადოს სულ ერთი არაა ვითამ! ახლა მაინც ქეა თანასწორობა. სინა, რული ერთია: ვაჟი დაიბადება, თუ ქალი.

თავ-რე: — ეგ კია სწორი, რაც მართალია, მართალია, აბა. ასე ჩაეწეროთ: ქორწილისა, ვაჟისა, და ქალის დაბადების გარდა, აკრძალულია ღვინის დაღვევა ყოველთვის. ვინაა მომხრე ამ წინადადების, ასწიეთ ხელი. (სწევს უმცირესობა).

თავ-რე: — მოქალაქენო! ყვიროთ: მართალია, მართალია

ლოო და ხელის აწევაზე რომ მიდგება საქმე, — ყველაზე უკან იხვეთ!

კრება: — გაუგებრობაა, ბატონო, გაუგებრობა!
თავ-რე: — აბა, რა გაუგებრობაა, სთქვიოთ.

ერთი: — ახლა, მარგალიტათ: ხარი ვიყადე, ან ცხენი, რაღა ამისთანა სინარულის დროს პატარა რომ ჩაყლაპოს კაცმა, ვითამ მინავათობა იქნება?!

მეორე: — ხარი-ხარია, მაგრამ ესთქვათ ნაბადი იყილა კაცმა....

მესამე: — ანდა ჩოხა-ახალუხი შეიკერა....

სხვა: — ავერ გრამიტონს ახალი წულა-მესტი შეუტყურავს. დევიჯერო ახლა ისტე წახდება, რომ მაკარიჩი არ დაგვაღვივოს!..

თავ-რე: — მაშ, რაღა ვქნათ, მოქალაქენო! ვადგენთ თუ არა? ვსპობთ თუ არა ლოთოზას?

კრება: — კი, ბატონო, ვსპობთ რაღა არა!..

თავ-რე: — მაშ ასე. (სწერს გამონაკლისებს და კითხულობს): შეიძლება სმა მხოლოდ: ხარის ყიდვის დროს, ცხენის, ნაბდის, ჩოხა-ახალუხის, წულამესტის....

სხები: — ჩექმების...
— შარვლის...
— ქუდის....

ხვანჯრის... ჩაწერე, ბოშო ხვანჯრის გამონაკლისა.

თავ-რე: — (სწერს და მერე კითხულობს): აბა, ასე იქნება რეზოლიუცია: აკრძალოს ღვინის სმა სამუდამოთ, მხოლოდ ნება ეძლევათ ღვინის დაღვევის მათ, ვინც შეა-



— საით მიდიხარ ასე ხავსე ჯიბით?
— „ნად - ქურკი“-ში, — მინდა ერთი კარგად ვივახშმო... შენ საიდან მოდიხარ?
— ვერა ხელავ, რომ ჯიბე გამოცარიელებული მაქვს?! მაშასადამე: „ნად ქურკი“-დან მოვდივარ.



მუთისელი მოქალაქე:

ერთ „ტრუბა“-ს კი გადავურჩი-
გამოვედი მშრალი,—
აქ კი ვიცი თანს დავიბან,
ვთი ჩემი ბრალი.

ძენს ახლად: ცხენს, ხარს, ნაბადს, ჩოხა-ახალუხს; წულა-
მესტს; ჩეჭმებს; შარვალს და ქუტას;

ერთი:—ბოშო, ხვანჯარი დაგვიწყდა, ხვანჯარი...

თავ-რე:— ამხანაგებო! ხვანჯარი უბრალო რამეა,
აბა ეგ რა ჩასაწერია!

სხვა:— იმე! უბრალო კი არა, აბრეშუმის შვიტანე,
აბრეშუმის.

თავ-რე:— კარგი ბატონო (შეაქვს). ეხლა კი, მე
მგონია წინააღმდეგი აღარავინ იქნებით, აბა, ასწიეთ ხე-
ლი ვინც მოხსრე ხართ. (სწევნ ხელს რამოდენიმე, მხო-
ლოდ ყველა არა).

თავ-რე:— როგორ? კიდევ გაუგებრობაა?

მეთე:— კი, ბატონო, გაუგებრობა კი არის. ლოთო-
ბა, ეს, რასაკვირველია, უნდა მოიხსოს, მარა თვით ჩვენ
ძველ ჩვეულებას ვსობთ, თუ არა? ყოველთვის რაიმე
ხომ არ ყიდულობს კაცი. არის შემთხვევა, როცა მარგა-
ლოტათ ღიდ საქმეს დეიწყებ კაცი და ამიტომ, მე მგონია,
ღიდი საქმის დაწყების დროს, რომ დალიოს კაცმა სამაქა-
რიოთ, მინაეთობა არ უნდა იყოს.

ხალხი:— მართალია, მართალია!..

თავ-რე:— ჯანაბას თქვენი თავი! აბა, იყოს საქმის
დაწყების წინა. ეხლა ხომ ყველანი თანახმანი ხართ?

კრება:— კი, ბატონო, ყველა, ყველა!..

თავ-რე:— აბა, ასწიეთ ხელი, (ყველამ, როგორც

ერთმა კაცმა, იხე ასწიეს ხელი). აი, ყოჩაღ, ეს კარგია,
ასეა, თუ ისე ლოთობის საწინააღმდეგო რეზოლიუციად
აიგიღეთ. ეხლა კი, მე მგონია, დავიშალოთ.

ერთი:— რაიო?! რა დროს დაშლაა, ბატონო, რაგვ
გეკადრება! (ყრილობას). ამხანაგებო! ჩვენ ღიდი საქმე
დევიწყეთ. ლოთობასა ვსობთ, ამხანაგებო, ეს ერთობ
ღიდი საქმეა. ხომ კი ღიდი საქმე, ამხანაგებო?

კრება:— ღიდა, მართალია, მართალი!

ერთი:— თუ მართალია და აბა, რავე შეიძლება,
რომე თანახმად ჩვენი ჩვეულებებისა, ასეთი ღიდი საქმის
დასაწყისში არ დავლიოთ!

კრება:— მართალია, უნდა დავლიოთ, დავლიოთ!

მეთე:— იმე! დავლიოთ, დავლიოთ, მარა რითა
დავლიოთ! რავე, დალევას ფული არ უნდა!

მეთე:— ამხანაგებო! ეს საქმე ხომ კია საზოგადო
საქმე?

კრება:— მართალია, საზოგადოა, საზოგადოა!..

მერვე:— მაშ უნდა საზოგადო ფულით დავლიოთ.
აბა, მე წინადადება შემომაქვს, რომე ის ვაბრილადებული
ხის ეკლესია რომა გვაქვს გაეყოლოთ და დასალევი ფუ-
ლები გვექნება.

კრება:— მართალია, სწორეა, ვაშა!.. (ეს წინადადება
ერთხმად იქნა მიღებული).

გოგია.

„წაზღვევა“

დამზღვევ სალაროს უფროსი წავი-
ლა სანადიროთ.

ერთი კურდღელი გაუბტა, ესრო-
ლა და ვერ მოარტყა.

— ამ ოხერ კურდღლებს რა ძაან
სკოდინათ გაქცევა?!

ამასთანავე ერთი ბეწვა და რო-
გორ უნდა მოარტყას კაცმა თოფი!—
ინუგეშებდა მონადირე თავს.

სამაგიეროდ წინ შეეჩხა მგელი:

— ოჰ, გამარჯობა შენი ჭოტავ,
სად მიბრძანდები? შენ კი... აღარ
ავაცდენ თოფს!

— რას მერჩი ჩემო ძმაო, რა! და-
მიშაგებია რამე შენთვის?!

— როგორ არ დავიშაგებია! შენ
იცო ვინა ვარ მე!

— ვიცი—მიუგო მგელმა — დამზ-
ღვევ სალაროს უფროსი ხარ!

— ჰო და შენ ამბობ არაფერი და-
მიშაგებია შენთვისო!

— ჰო და აბა რა დამიშაგებია, ერ-
თი დაზღვეული ქათამიც არ შემეჩა-
მია.

— მაშ ის რაიყო, რომ გუშინ სამი
ათასი მანეთი გაცეცი.

— არ დაიჯერო, ბატონო, სალა-
როს უფროსო, თითონა სჭამენ და
ხულ მე მამარალებენ.

— მაშ კარგი, მოდი მოგვრდღეთ
არ მოგკლავ, მხოლოდ ერთის პირი-
ბით, დაზღვეულ საქონელს უნდა
ფრადო.

— ძალიან პატიოსანი — მიუგო
მგელმა და მოკვურცხლა ტყეებისკენ.

— ჰაი, მაგ ოხერმა, მაგან, რაღა ამ
დაუზღვეველს წაავლო პირი — ჩიო-
დნენ გლეხები.

ერთი დაზღვეულიც აღარ გადაურ-
ჩა შეუტყმელი მგელს. გლეხებმაც, რა-
კი გაიგეს, რომ მგელი მხოლოდ დაუ-
ზღვეველს ეტანებოდა, სუყველაფე-
რი დააზღვიეს.

— არას რაიმე დაუზღვეველი? —
იკითხა მოლარემ.

— აღარაფერი შენი ჭირიმე.

— მა რაღათა სჩივით მგელმა შამა-
ქებიაო და ყოველდღე გაგაქვით ამღე-
ნი ფული — უთხრა მოლარემ.

— ი, შე გამჩენძალოო, ე, დაზღვე-
ვა ხომ პირს ვერ შეუტყრავს მგელსა.
მწორეთ იმიტომ გაგაქვ ფული, რომ
დაზღვეული გვყავს საქონელი, წიწი-
ლაც კი...

— მოლოარე დაფიქრდა.

— მაშ უნდა მოვკლათ ის ვერანა!
— სთქვა ბოლოს მოლარემ.

— ვინა შენი ჭირიმე?

— ვინა და მგელი.

— მგელი?... — ახლა გლეხი დაფი-
ქრდა.

— ჰო, მგელი! — მიუგო მოლარემ.

— მაშ თოფის ფულის გამოგვიწე-
რე შენი ჭირიმე.

— მაგის ფული ბანკმა უნდა მოგ-
ცეთ

„ბევრ ადგილებში გამოჩნდნ მგლები, რომლებიც
ზიანს აყენებენ მეჯოგეებს. მონადირეთა კაცური მათ
წინააღმდეგ გზავნის მონადირეებს“.

გაზეთებიდან.



„უფროსი მგელი:—ხედავთ რა სწერია გაზეთში?
მონადირეები ჩვენს წინააღმდეგ მოდიან! თქვენ კი დღე-
ში თითო ცხვარს და ხბოს მიირთმევთ და მომარაგებაზე
არ ფიქრობთ...
სწამბი:—არა უშავს რა! თუ ვინიცობაა სურსათი
შემოგველია,—თვით მონადირეებს მივყოთ ხელი.“

გლეხი გამობრუნდა და თავისთვის
წაიბურბურტა:

„თოფის ფულს კი გამოვიტანთ,
მაგრამ მგელს რომელი გიყი მოკ-
ლავს, ხო დავიღუპეთ, ვილას დავ-
ბრალოთ.“

— სად მიხვალ ჭოტავ — დაუძახეს
მგელს გლეხებმა.

— დამზღვევ სალაროში, — მიუგო
მგელმა და გასწია ისევ.

— ვიმე დავიღუპეთ, — დაიძახეს
გლეხებმა და გამოუდგნენ, ვერ დაე-
წივნენ და ასტყდა ერთი მითქმა-მო-
თქმა.

თავი მოიყარეს ყალბმა მოწმებმა,
პატრონებმა, მოსამართლეებმა და
მსჯელობდნენ, თუ როგორ იქნებო-
და საქმე.

— შენ არ მითხარ მიმოწმეო!

— მერე?

— მერე ისა, რო: ტყუილი რო
გამოჩნდება!

— ი, ხორც ხო გემრიელად შეგე-
ცვლი!

თუ ის ლხინი გავიყავით, ეს ჭირიც

უნდა გავიყოთ შუაზე“...

და იღვა ერთი აურო-ზაურა გლეხ-
ბისა.

მგელი ჩავიდა თბილისში.

მივიდა დამზღვევ სალაროში.

— შენ! აქაც კი მოხვედი?! — დაუ-
ყვირა უფროსმა.

— მაშ სად უნდა წავსულიყავ!
ფული გამომიწერე.

— რაში?

— მაშ შშიერი ხომ არ მოგვედები!

— შშიერი რათ მოკვდები, რო-
დესაც გლეხებმა გუშინ ოთხი ათასი
მანეთი წაილეს შენგან შექმული სა-
ქონლის საფასურში!

— არა ძმაო, არა! ხომ გავგიგათ
მგელს მგელი ერქვა და ტურამ ქვე-
ყანა ამოაგდოო.


— შენ ისე ამბობ, თითქო მგელი
აღარ იყო.

— მგელი მე კი არა, მგლები ეხლა
იხინი არიან, ვისაც ყოველდღე
ფული გააქვს სალაროდან — მიუგო
მგელმა.

ფემანგი.

ზოგი ჰირის მარგულოვა

„ტფილის-ბათუმის მატარებელი ისე წელა მიდის, რომ მას ეწყევა თბილისიდან გამოსული სხვა მატარებელი“..



— სად მიხვალ, კაცო?! მატარებელი მიდის, დაოიბი!
 — არა უშავს; ავერ გადვირბენ სასადილოში, ერთ-ორ ბოთლ ღვინოს დავლევ და მაგასაც დავაწევი ფა-
 ხლავებს!

ხუნავი და ქუნთი უკა

ვინც წერა-კითხვა იცის, აიღოს გაზეთი და წაიკითხავს: „ბრძოლა ხუნავისა და ქუნთარუშის ეპიდემიასთან“... „ეპიდემიასთან მებრძოლმა საგანგაზო სამეულმა დაადგინა“... „აკრძალულია ბავშვებთან სეირნობა და კინოებში წაყვანა ორსული დედაყაყებთან“...

თავი გამოქვილილი მქონდა ათასნაირი რეზოლიუციებით და ამას ზედ დაერთო რაღაც სამეულის სასწრაფო დადგენილებები. ვფიქრობდი: მორჩა, თბილისში ვეღარ შევხვდები ბავშვებს, ამოწყდებიან საწყლებითქო. ამ რამოდენიმე დღის წინათ გავიგე, რომ იწყებენ ბავშვების მშობლებს კრებაზე, სადაც ექიმი წაიკითხავს მოხსენებას ქუნთარუშისა და ხუნავის შესახებ. მართალია: არც ბავშვები მყავს და არც ცოლი, მაგრამ კრებაზე მაინც პირველი მივედი და ოჯახის ერთგული მამასავით პირველი წამოვსკუბდი დარბაზში. (მაყვარს ქალებში სეროზულათ თავის დაქერა).

ექიმი:—(სიტყვას იწყებს ჩახველებით)—საერთოდ პროფილაქტიკა, როგორც წინასწარი ზომა, ჩვენში ვერა დგას თავის სიმალეზე. ქუნთარუშა და ხუნავი ორივე გადამდები ავადმყოფობაა და არაა სასურველი, რომ ამით ვინმე ავად გახდეს. ძველ დროში ზოგჯერ ბავშვს ასე სწყევლიდა დედა: „შენ მოუკვტი შენ დედას და შენ გაგიჩა ხუნავო“. აქედან სჩანს, თუ ჩვენი ხალხი რა მნიშვნელობას აძლევდა ძველათ ხუნავთან ბრძოლის საკმეს. (სვამს წყალს).

პროფილაქტიური ზომები ხშირათ დამოკიდებულია ზოგად ჰიგიენურ გარემოცვაზე ორგანიზმის კონსტიტუცია ინერტიული არაა აქტუალურ ნომბროზ ვივიტიანთან. აქ საჭიროა დიკის რეაქცია და ვაქცინაცია მარკუს მეთოდებით. ტოქსინი და ანატოქსინი, ზოგჯერ გამბროზემზედაც მოქმედებენ და იწყებენ შინაგან სეკრეციის მოდიფიკაციას ფიბრაციის ცენტრუმის დეცენტრაციით და უნიფიკაციით. მე ვეთანხმები პროფესორ ტინგაუზენს და ურჩევ ყველას სცადონ თავიანთ ბავშვებზე დიკიზაციის ჩატარება ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ დიკის რეაქცია საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაიფილოს ვერ-ვერობით.

მომილოცეთ: უცოლშვილო კაცი ვარ და იაქეთ დავდივარ. იცით რა ამბავია ეხლა თბილისში? ბავშვები დამწყვდეული ყავთ მშობლებს სახლებში, გარეთ არ უშვებენ—ხუნავი არ შენვდეთო. ექიმებთან მოიმატეს ავადმყოფთა „კულუმბა“. აღმასკომმა გადასდო ექიმებს და საჯილოდობლათ ათასი მანეთები. უცრიან და უცრიან უღმერთოთ ყველას. ამის გამო, ბავშვებმა შესწყვიტეს ჩხუბი და კინკლაობა სკოლებში. აღარ გაუღიანებთ მსაწაულებლებიც (მკლავები დაუსიდათ აკრისაგან).

ქალაქში პანიკაა. ექიმები გახარებული დადიან—შემოსავალმა იმატაო. მეგობრებები სტროიან—არავინ კვდებაო.

ეპიდემია არის—ეპიდემია არაა. ვინ გამოიღვიბს ამ ამოცანას რეპორტიორის შუტი?

თ.



ქალი: — თქვენ ამდენი ფული შეგიბამიათ მუშაობის და ჩემი ვალი მაინც მოგეცათ!

კაცი: — უკარავათ, ქალბატონო, მაგრამ თქვენი ვალიც აქორეთ იმ ფულში შედიოდა.

— რა ვადრიალებს ასე გულშემწარავათ?
 — სამსახურიდან გამომაგდეს და ეხლა ხმას ვისინჯავ— ეგებ ოპერაში გამოვდგე...
 — ეს კი კარგია— ცარიელ დარბაზს მაინც გააქრებ!

კ ი თ ხ ვ ა - ვ ა ს უ ხ ი

კითხვა: როდის შეიძლება ქუჩაში ხმაურობა და სიმღერა?

პასუხი: როცა მილიციებს სძინავს და ვერაფერს ვერ ამჩნევს, რაც მის გარშემო ხდება.

კითხვა: როდის შეიძლება ვაზის უკანონო მოქმედების გასაჩივრება?

პასუხი: როცა ვამგე მივიღებთა და ახლო-მახლოვარ იმყოფება.

კითხვა: როდის შეიძლება კავშირის წვერი გაზდეს კაცი?

პასუხი: როცა სამსახურში მოეწყობა.

კითხვა: რა არის სავალდებულო იმისათვის, რომ კაცი სამსახურში მოეწყოს?

პასუხი: აუცილებლად კავშირის წვერი უნდა იყოს.

კითხვა: კარგად გაიგეთ ჩემი შეკითხვა?

პასუხი: შეკითხვა კარგადაა გაიგეთ; მხოლოდ პასუხი მეც არ მესმის.

კითხვა: როდის ჩაითვლება კაცი შტატში მყოფ მოსამსახურედ?

პასუხი: როცა ვამგეს რომანი გაუტკებთა მოსამსახურის ნათესავ ქალთან.

კითხვა: როდის არ ჩაითვლება კანონის დარღვევად ქუჩაში დაფურთხება?

პასუხი: როცა ტრამვის უცდი და საშველი არ დაიდება მის გამოჩენას.

კითხვა: როდის არის დასაშვები ჩხუბი და დაკა-დაკა ქუჩაში?

პასუხი: როცა ხედავ, რომ მართლად ამტკუნებენ და მტყუნან აზარათლებენ.

კითხვა: რატომ არის აკრძალული ტრამვაში თამბაქოს მოწვევა?

პასუხი: იმიტომ, რომ ტრამვის ადმინისტრაციას მიზნად აქვს დასახული თამბაქოს ტრესტის გაკოტრება.

კითხვა: რატომ არის, რომ ტრამვაში ბოლო დროს ხალხი ერთმანეთს ზურგზე აზის?

პასუხი: ფინკულტურის საბჭოს მიზანაა ხალხს შესწავლოს ტანთვარჯიშობა.

კითხვა: როდის არ ჩაითვლება ქურდობა ბოროტ-მოქმედებად?

პასუხი: როცა დაწესებულებიდან მოიპარავ შენს განცხადებას, რომელსაც უპირებენ სანაგვე ყუთში გადავლებას.

კითხვა: რას ნიშნავს თანამდებობის ბოროტად გამოყენება?

პასუხი: თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, როცა საქემს შენ აკეთებ, ხოლო ფულს სხვა სჭამს.

კითხვა: ოას ნიშნავს უპასუხისმგებლობა?

პასუხი: კინორეისირობას.

კითხვა: ვის უნდა უწოდოთ უსაქმო კაცი!

პასუხი: ვინც ანკეტების შევსების მერს არაფერს აკეთებს.


კითხვა: როდის შეიძლება კაცი ქუჩიდან გადაცდეს?

პასუხი: როცა სამსახურში შტატების შემცირება დაიწყება.

კითხვა: ვის უნდა ეწოდოს მხატვ კკუის კაცი?

პასუხი: ვისაც სჯერა, რომ უპროტექციოთ სამსახურის იშოვის.

სეგვირ— ბენ— შეის.



ა. ე

მასწავლებლები:—ეს რა ამბავია?! ვინ მოხწია თამბაქო, რომ ასეთი ბოლი დგას?

მ.წ.:—არ ვიცი, მასწავლებლებო, ეგებ ბუხრიდან გამოდის!

მასწავლებლები:—გაჩუნდით! შეშა სადა გვაქვს, რომ ბუხარში ცეცხლი გვეთოს? მე სუნზე ვაბუხებ—„სოვეტსკი“-ს კვამლია!

მ.წ.:—არა, ბატონო, „ფედერაცია“ მოვსწიე, „ფედერაცია“.

მეშვიდე ასო აიღეთ, სხვას არ შეახოთ ხელთა და მიაკერეთ ღივი-ღივით, არც თუ ეს ასე ძნელია (პირველ მოკვეთილ ასო ზომ ბოლოზე მისამშვლია).

გათავდა ტანჯვა, წამება, რაც ახლა გამოიარეთ; ვერ ნახაეთ მანე უკეთესს ღუნია შემოიარეთ. თუ კი ვსურს იმხიარულო, სიცილი გადგეს პირზედა, ანდა ვსურს—აღარ ფიქრობდეს ცხოვრების გასაქირხვება, —ოთხი აბაზი მონახე ნაპოვნის შესაძენათა, რომ იგი მუდამ ქაშს მრავალ სიცილს დენათა, კარდანახელი.

2

რა ჰქვია ადგაღს სადაც წდება ყიდვა-გაყიდვა ფულისა? ზოგისა გამხარებლი, ზოგის მომკვლელი გულისა.

ხუთი ასოსგან შესდგება, ორი ჩვენ გეტყონდეს, ძამია (ფეშქეშათ ჰქონდეს ვისაც სურს უკანასკნელი სამია!).

მეორე საგნის სახელი სამი ასოთი ითქმება, ხშირათ შეხვდებით მას მთაში, (ბარშიაც ბევრი იქნება).

შემის დაბეთქა უმისოთ ზოგჯერ ძნელია ძალზედა, ცულს უნდა დაჰკრა ყუაში, და არ მოგიხდეს ტარზედა.

სამეფე ასო იმისი შენახულს მივაკეროთა.. კილემ გვეჩორდება სხვა რამე, ეხლა სხვას მივუძღვროთა.

მისახდენია ადვილათ, მონახეთ, ყველგან ბევრია, სახლის სახურათ ხმარობენ, ატურს მიღვადს ფერია.

შვილი ასოსგან შესდგება, მაგრამ ჩვენ ხუთი გვეჩორია, სამი წინ, ორი ბოლოში, — მით მოვიშორეთ ქირია.

ესეც მოვბათ უფინდელთ... დასრულდა ასე ჩქარადა. ვადაიკიოხეთ ერთად და გამოვი ჩვენი შარადა.

ვანცქურნოთ ყველა იმისგან, მართლა, რომ ცული სენია, და ვინც არ მორჩეს, ტარტობოზს მივართვათ, როგორც ძღვენია. —

შ. ვლორბელი

გუგუზნაშატი (სენაკის მაზრა)

ერმილე უნდა ვახსენოთ ფარნასძეთ წოდებულო; რადგან ვაფლანგა რაც იყო მის ხელში კლუბის ფულიო. იცნობდეთ—ეჲ ერმილე ძველ გამგეობის წევრია; ანგარიშის დროს დაატყდა თავზე ცოდვები ბევრია.

კირილეც ნუ გამოგვჩებთ, თორემ დაწყდება გულიო; მასზე ამბობენ:—გაქაფა ბილეთებისა ფულიო.

არამკითხე-მამამბე.

ფოთი

თუმცა ზამთრისა სიცივემ სიგვიკრა ყივითი კრიჭია, — მაგრამ მაინც გვსურს, რომ ვითხრათ: ვი თუ როგორი ბიჭია.

ჯერ „გლუბკომიდან“ დავიწყით, რომ უყვართ ენის ლაქლაქი. ასე ამბობდენ:—ზამთრისთვის შეშით საუეს გვაქვს ქალაქი.

მაგრამ, როდესაც მოთოვა, ყივებაც შეშებთ მას წვლილი, — მაშინ ხალხთანა შეშისთვის „გლუბკომაც“ იწყო ტირილი.

არ იყო შეშის ნამკიცი, არც წყეულ „ლესკომს“ ჰქონია.. (ასე დროს შეშის კრიზისი აბა ვს გაუგონია?!).

მუშეკოს ფანელის მაგიერ უწყვია კრელი ჩითია. არც „კალოში“ აქვთ სათბილო, ჩაქთარს გაუძლოთ რითია?..

მათრახი.

შ ა რ ა დ ე გ ი

1

ეჰ, ძნელი საქმე ვიკისრე საჯოჯოხეთო კრებია; ზოგისა ამტირებელი, ზოგის მომგველი შეგებისა. ვისცა ვერ ახსნას შარადა მარტივი ლექსთა წყობისა. — რალა ვაკადროთ მის მეტი— სახელი შეურცხვებისა.

პირველის საგნის სამებნათ შორით არ გვინდა მსვლელობა; არც დიდი ცოდნა ვეჭილის და მისი ენა შერელობა.

ხელ მოსაკიდის სახელი გვინდა პირველი ხელობა, (თუმცა მის ბოლო ანბანის არ ძალგვიძს მოუჭრელობა— სულ ბოლოს მაინც გვეჩორია, ასეა მისი მსვლელობა).

უკეთ რომ ავხსნათ, აიღეთ ჩაქუჩი, ანდა ნამგალი... მგონი მიმიხვდით, რადგანაც ეხლა არც არის სამკალი.

მეორე ვახლავთ ნაყოფი ეგრედ-წოდებულ ყანისა; ნედლიც იქმება, შემწვარი რგვალი მარცვლოვან ტანისა. ერთი ნაყოფი იკმარეთ, არც დროა ახლა ქამისა, არც იმის სახელს სჭირია მოღება სადმე დანისა.

შესამეს პოებთ იოლათ, (ამას არ უნდა ცილობა), თუ გისწავლიათ ანბანი გაქეთ ცოტა გამოცდილებმა,

ცნობათა შედეგა



პარაჩის. თქვენ შეეცდებით ჩაგვიღიას ყუთში ოქროს ათმანეთიანი. ჩვენ არ შევცდებით თქვენსათვის — განგებ ვაგდებთ თქვენს წერილს გოდორში. (უკეთესს საქმეს მინც ვერ მოახზარდით მაგ ფულს).

ნ. ქუთაისელს. თქვენი „ღია ბართი“ დახურულ ვონერტით რომ გაგვგზავნათ მშობლებსათვის, უმჯობესი იქნებოდა თქვენთვის, რადგან მაშინ არ გამოაშკარავდებოდა თქვენი „სწავლა-განათლება“.

რიონამდი მატარებლით ვიმგზავრებ და შემდეგ ქუთაისში ფეხით წავალ უფულობის გამო.

თქვენი ჯიბის პატრონებაში ჩვენ ეჭვი არ შეგვიძლია, მაგრამ თქვენ რიონიდან ქუთაისში ალბად იმიტომ აპირებთ ფეხით გამგზავრებას, რომ გეჩქარებთ და გინდა ადრე მიხედვით სახლში, რასაც ვერ შეძლებთ ქუთაისის მატარებლის სისწრაფით.

პატარა უთულის: თქვენი წერილი თავისი გეთით ზაგარანჩინი კოტრაბანდით გადაგვზავნით სადაც ჯერ არს.

ბუმ-ბაც: — მართლაც სჯობდა ამ რვა კაპეიან მარკის მაგიერ ერთი გირუნაქა ბური გეყიდათ.

ბარო ტოს (საწირე): — თქვენი წერილის სიყალბე აქედან სჩანს, რომ ამბობთ:

მთვრალმა კაცმა რომ მუსიკა გავიგონე, უფრო მოვედი ქეიფის ხოშხე და მემუსიკეს „წითელი თუნიანი“ ვაჩუქე ქალაქის ფულს.

მაშასადამე: თქვენ არაფერიც არ გიჩუქებიათ, რადგან „წითელი თუნიანი“ (მეფის დროინდელი) არაფერი არა ღირს. თუ იტყვიან ჩერვონცი იყოთ, ეს იქნება სიცრუე, რადგან წითელი (ფერი) ჩერვონცი არ გამოსულა. (ალბათ თქვენ ჯერ ჩერვონციც არ გინახავთ და დასაჩუქებელი ათი მანეთი ზად გქონდათ!?).

ლოარჯანს (კოჯორი): — თქვენი წერილი რომ შეეკრბილოთ გასაშვებათ, გამოვა ასეთი:

ტარტაროზ, არის საჭირო

ჩანგალი ახლა შენია.

მოინახულე კოჯორში

ბავშვების ახალშენია.

აქ აღმზრდელუბათ ბავშვების

არიან ნინო და ქეთო.

როცა მათ უსმენ, სჯობია,

ყური თითებით დაკეტო

სად უწამაწური სიტყვა,

აქ იგონებენ ეხენი....

ტარტაროზ, ამათ უთხარი:

— ახალშენს ჩამოეხსენით! —

თორემ ამდენი ბავშვი

გაზრდილნი მაგათ ხელშია,

აცდება გზასა ნათელსა,

გადიჩებება ბნელშია...

ჯერჯერობით ეს იყოს; დანარჩენი შემდეგში. **ციხის-ძირებს (ბაღდადი):** — შარადა არ გამოგვა-

სუდარას: — თქვენი შარადა ასე იწყება:

უსაქმობით დაღალული

დავდიოდი შარადო;

უცბათ თავში გავიფიქრე:

შეთქვა რამე შარადო.

ელექტრონმა თავში დამკრა

და მიმავლო მაგიდაზე;

საწერ-კალამს ხელი ავკარ

და დავიწყე ფიქრი მაზე...

კიდევ-და უსაქმობა სეირნობა სჯობია ასეთ შარადას.

ჯადოს (და ვველას, ვინც სწერს შარადას): — იუმორის და სატირის შარადა ერთი დარგია, მისი დაწერა ბევრათვის აუტანელი ბარგია.

მეგახრაკე (ფოთი): — ხე-ტყის ქარხნის გაბეჭე ასე სწერთ:

დიდი ხანია, რაც ტრესტმა

მუშებს შეგვიპირდა ბინაო;

ისინი თბილმა თანხმა

ტკილადაც დაძინაო.

ეს არის ბრალი ტრესტისა

გამგეთ რომ არის ბუკია

(აქ როგორც რითმას, ისე მას

უხდება ცნელი სუკია!).

ოქ ტრესტში მეტი სარჯვებით

სულ შეგახსტა კახაო.

შუშაბანდებო... ჩუქურთმა...:

ვინ-და კითხულობს სხვასაო...:

ტყველა უსაყვედურებთ ქარხნის გამგეს. პირიქით, იგი თქვენგან მაღლობის ღირსია, რადგან:

მოდო, ვიკითხოთ რამდენათ

შარალობს ტრესტი ჩვენია.

არც შეშა არის, არც ხე აქვთ,

მუშებსაც დავგვისვენია.

კარგი იქნებოდა, რომ მასაც მისცემდენ დასვენებზე საშუალებას.

ქეციანს: — თქვენი „შედგერი“ ასე იწყება:

ია-უა, არ მაქვს ჭკუა

თავში მომხვდა ცულის ყუა,

მოვიპარე პურის ყუა

და შიგ ვნახე ჭია-ლუა...:

არ ვათხოვე ამას ყური,

ვჭამე, როგორც ხაქაპური...

ალბათ ბური, მოგიპარავთ ზატაბოს ფურჩიდან მს დაკანების ქურჩაზე.

ციფანს: — კარგია თქვენი ექსპონენტო:

გამიგონეთ ხალხნო ყველამ,

უნდა გითხრათ ერთი „რერი“.

ამ ზამთარში არ მაქვს შეშა,

არც ღუმელი და არც ფერი.

როცა ფული ჩამოვივდებ;

ვინახულე მე ტუე-ტრესტო,

მაგრამ შეშის მაგიერათ,

ამომაკრა უკან უესტო...

ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ტრესტში იცოდა შენ არ გქონდა ფერი. შეგიძლიათ მაგ უესტიდან ჯერ ფერი გააკეთოთ და შემდეგ მიმართოთ ტრესტს. შეშისათვის (შეშა რად გინდა, როცა ღუმელი და ფერი არ გქონებია?!).

ქალაჩუნას: — ჩვენ თქვენს სასარგებლოთ ვერაფერს ვიტყვი. თქვენი ცოლი მართალია, როგორც, ეს თქვენს წერილიდან სჩანს:

ზაფხულობით ჩემს ცოლს ვერავინ მოახწრებდა ლოგინში შეგორებას-დაწოლას. ენლა კი პირიქით ხდება.

— დაწვი, გენაცვალე, და მოსვენე! აღერ-სით მეუბნება ცოლი.

თქვენ გგონიათ მას ეს პატრონცემით და სიყვარულით მოსდის! არ შეუჭამოს ჭირში.

უშეშობის გამო (და უშეშობა უფულობის გამო).

ბინას არ ვათხოვთ. მაშასადაე: ლოგინოც ცი-
ვია. ცოლს უნდა მე აღრე დავწვე,ლოგინი გავათბო
და მან შემდეგ მიიხვეწოს.

— რატომ ყოველთვის მე გავათხო ლოგინი?
ესლა შენ დაწვევი ჩემზე აღრე და შენ გაათბე! —
მიგმართე წუხელის ცოლს.—ეშანსიპაცია არა გწამს?

— დიას, მწამს და ამიტომაც შენ უნდა დაწვე
ჩემზე უფრო აღრე. ხომ გასსოვს—ზაფხულობით მე
შენი თქმაც არ მინდოდა, შენზე აღრე ვწვებო-
დი... ზამთარში რიგი შენზეა!—

— მოდი და ნუ წაეჩხუბები ასეთ ცოლს და
იცხოვრე ასეთ ადამიანთან!

შეეცარებულს:—შეედივართ თქვენს მდგომარეობაში
და უცვლელად ვათავსებთ თქვენს წეროლს და ლექსს:

ტარტაროზო, შენ ერთი მაინც იყავი ამ ქვეყნათ
ისეთი, რომელმაც შემბარალოს მე და მალამო მო-
მაშველოს დაკოდრლ გულზე.

ქალი მიეცარდა.. თითქოს მასაც უყვარდი (რა
ვიცი—პაემანზე კი დადიოდა ჩემთან).. მაგრამ მი-
დალატა და გათხოვდა.

როცა შევხვდი, ასე მითხრა: —რა გადარდებეს!
მე მაინც შენი ვიქნები! შენთვის ეს უკეთესია...

მაგრამ მომატყვილა. პაემანს მინიშნავს, ამ
ყინვაში ღამეებს ვათენებ დანიშნულ ალაგას, მაგრამ
არ მოდის.

აჰს! ვინ მიხვდება ჩემს ტანჯვას... ლექსი და-
წერე; შა, ვიგზავნი. გვედრები—აუცილებლათ მო-
მროავსო. ვიცი წაიკითხავს და ეგებ შენიბრალოს იმ
გულქვამ.

ლექსი აი ეს არის:

მ ა ძ ა ბ ა ბ ა მ ა მ ა

ვხედავ ჩქოლებს
სწორს და ტოლებს,
გატიტვლებულს,
დალონებულს...
ქვეშ საჯდომსა—
დასაყრდომსა,—
ხადც ხშირათ,
ჭალის პირათ
მპატიუობდი,
მნახულობდი....
და ვუტყერი
გულნაძგერი
განაკვირი
ანატირი
გამიყინდა
ფეხი, ცხვირი,
მაინც ვდგევარ
როგორც ვირი.

წარსულმა და
აწყმოს მადამ
ფიქრებს შინცეს....
გავსცქერ სივრცეს..
ჩემო მადამ,
ხად ხარ? ხად ხარ?
არა ხინხარ...
შენ არ მოხვალ
არც დღეს, არც ხვალ...
შენ დაწყვილდი
დაქმარიშვილდი...
ვხედე, მარა
ეს არ კმარა,
შენ ჩემს ნახვას
არქმევს ზრახვას.
ფერ გავუძლებ
ამდენ „მარხვას“.

ქარიშხალი
დაუმცხრალი
ხეებს აგებს,
მოძაგავებს...
მცივა, მცივა,
გული მტკივა;
არ შეფნს ეს მზე
სხივებს ჩემზე...
ღამით მთვარე
მოიღვარე
დადის, ბრწყინავს
და მე მყინავს...
შენ კი გძინავს,
ქნარი ხვრინავს...
სიცვივსგან
წამძრა ფეხი...
შენ გაცვია
ტანზე „მეხი“
(დაგაყარე
თავზე შენი,
რომ შემადგი
ზურგზე კეხი).
ქარიშხალი
დაუმცხრალი
ხეებს აგებს
მოძაგავებს...

ჩენი კეთილი რჩევაა—სახლში წახვიდეთ და ცეცხლს
მიუჯდეთ

„სიყვარულით დახრაკულს?—ეაჰს! ეს რა ამბავია
ამდენი გამიჯნურება! საკვირველია: სიცვიე არის და
ქკუა მაინც უღულს ზოგიერთებს. ან ეგებ ყინვების ბრ-
ლია? კარგი, თქვენაც მოგინმენთ:

შენ რა იცოდი, თუ ურუ ქურაში
უღირს მონასაც ასე უყვარდი!
უკან მიგდევდი ფეხდაფეხ გზაში,
რომ ღამით ეტლით ჩამომიარდი.

კიდევ კარგი, რომ მილიციელებსაგან დატუსალინამ
გადარჩენილხარ და ესლა რალა გატირებს! ხომ იცილ—
ქალისათვის უკან გამოდგენება—ეს ხულოგნობაა.

ეაჰს! ეს რა ამბავი მომხდარა:

დამარცხდა კერპი— ცრმელი დაღვარე,
ათრთოლებულმა მოდი ჩემთანა
და შემევდრე:—ო, შემიყვარე,
ან-და ამ გულში ჩამეცი დანა....
როგორც ცოდვილი შიშით, ცახცახით
შენ ჩამივარდი ფეხების ქვეშ:
ნაპოლეონის შრისხანე თვალთ
დავიმონავე და გავაშეშე...

(სად არის დამბრჩელი კატა!).

დღეს შენ ხარ ჩემი მონა, პრინცესა
და დასახველათ რით ვაგიმეტო?!
ესლა შენ სტირი, გაქვს გულის კენება.—
არ დაივიწყო პრინცესა „ვეტო“.

კარგი, კარგი... ფრთხილათ უმაწელო, ტყავს
გაქიზავ, თორემ:

როცა კაცხა თვალსა მოშკრავდა
ჩემთან ყოფნას
და ცხოვრებას
აშფობინა ვაყრა.
მიდიოდა ხაცილითა
ხი-ხი, ხა-ხა, ხა-ხა!

მან იცოდა აყრა.
წავიდა და მიმატოვა
მე დავადე ხახა.

კიდევ კარგი, რომ ესლა ბუზები არ არიხს!

უკვე დაიწყო ხელისმოწერა

1928 წლისათვის

გაზ. „**მუშა**“-ზე და მის უფასო

დაება ყოველ-კვირულ იუორისტულ

ჟურ. „**ტარტაროზ**“-ზე.

ყველა შემწეული მოსახლე უნდა იწერდეს, კითხუ-
ლოვდეს და ავრცელებდეს თავისი ინტერესების დამცველ
და გამომხატველ გაზ. „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზ“-ს.

გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას, რომელიც მოთავსებულია ჯორჯიაშილის
ქუჩაზე № 6, აქვე თავისი განყოფილებები საქართველოს ყველა ქალაქში და
დაზოგში, სადაც მიიღება ხელისმოწერა და ყოველგვარი განცხადება გაზეთში
გამოსაქვეყნებლად.

გაზეთ „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზ“-ს მოწოდება და გლახობა ათეხუ-
ლი ფიარადებული ამდენი ხნის გამოცდილებით და დაპირვებით ყოველ კუთ-
ხიდან, აწვდის რედაქციას მასალებს აღგილობრივ ცხოვრების შირ-შარამზე.

გაზეთი „მუშა“ და ყურნალი „ტარტაროზი“

თვიურად ღირს ოთხი აბაზი (კერძოთათვის

ერთი მანეთი).

„ტარტაროზ“-ზე ცალკე ხელისმოწერა არ მიიღება.

ირქრეთ გამოწერისათვის.

გახსოვდეთ შემდეგი: ნუ გადადებთ შედგენისათვის, რის გაკე-
თიგაც უხლა შეიძლება ე. ი. მსლავე შემდგომით გაზეთის გამოწერას.